პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ხაკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 18 მაისი, 1943 წ. № 108 (6733). ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის ხალხთა წმიდა ძმობა

შესანიშნავ წერილს უგზავნიან ქართველი მებრძოლნი თავის ხალხს, საქართველოს მშრომელთ. წერილი, რომელიც დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება, აღგვაფრთოვანებს არა მარტო თავისი პატრიოტული აღტყინების ძალით, არა მარტო თავისი საბრძოლო აღგზნებით, არა მარტო საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებით. მასში მოკლედ და ძლიერად არის გადმოცემული წმიდა მეგობრობა, რომელმაც დიდი ხანია შეაერთა ქართველი და რუსი ხალხები ურღვევი ძმური კავშირით.

ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობა XVI საუკუნეში იწყება. დიდი რუსი ხალხი ნიჭიერი და მამაცი ქართველი ხალხის კეთილმოსურნე მეზობელი, სასურველი თანამოძმე, ჭეშმარიტი მეგობარი გახდა. მათ საუკუნეთა მანძილზე უყვარდათ ერთმანეთი, სიხარულს განიცდიდნენ მეგობრული ურთიერთობის გამო.

ქართველი ხალხი იზიარებდა რუსი ხალხის ისტორიულ განსაცდელთ. ქართველი მებრძოლების წერილი მოგვაგონებს 1812 წლის სამამულო ომს, როცა ქართველი ხალხის მრავალი შვილი იგერიებდა რუსეთზე ფრანგ დამპყრობთა თავდასხმას. ამ კეთილშობილ ქართველთა შორის იყო სუვოროვის მოწაფე და მეგობარი, კუტუზოვის მეგობარი გენერალი პეტრე ბაგრატიონი, ვისი სახელიც ძვირფასია ყოველი რუსი პატრიოტისათვის, ვისი ხსოვნაც ცოცხლობს საბრძოლო ტრადიციებში, წითელი არმია რომ იცავს.

წერილში ნათქვამია: „რუსეთი ძველთაგანვე ბევრი გამოჩენილი ქართველის მეორე სამშობლო გამხდარა და ქართველებსაც არაერთხელ დაუმტკიცებიათ ბრძოლის ველზე თავისი მეორე სამშობლოსადმი მამულიშვილური ერთგულება და თავდადება“.

სწორი და კარგი ნათქვამია, როგორც სწორია ისიც, რომ საქართველო მშობლიური მხარე, წმიდა თავისუფლებისა და გაბედული, ამაყი სულის სკოლა გახდა რუსი ხალხის მრავალი საუკეთესო შვილისათვის.

მეფის მთავრობა მრავალ დეკაბრისტს ჰგზავნიდა კავკასიაში, როგორც გადასახლებულთ, მაგრამ ისინი, კეთილშობილი რუსი პატრიოტები, ძმურ თავშესაფარსა და გულთბილ სტუმართმოყვარეობას პოულობდნენ ქართველ ხალხში. დიდი რუსი პოეტი გრიბოედოვი შევიდა ქართულ ოჯახში, დაუმოყვრდა მას და მის საფლავს თბილისში ერთნაირი პატივისცემით ეპყრობიან რუსებიც და ქართველებიც. პუშკინისა და ლერმონტოვისათვის საქართველო მეორე სამშობლო იყო. ისინი ქებას ასხამდნენ საქართველოს მთებს და მისი შვილების მამაცობას.

მოწინავე რუსი მუშების მხარდამხარ, ბოლშევიკური პარტიის ერთიან რიგებში ქართველი მუშები თავდადებით იბრძოდნენ ახალი, თავისუფალი სამშობლოსათვის, საბჭოთა რევოლუციისათვის. თბილისი განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერაა. დაე შავბნელი სახელით იყოს მოცული მეტეხის ციხე. მაგრამ საბჭოთა ადამიანი არ დაივიწყებს, რომ ამ ციხეში ა. მ. გორკემ მოიფიქრა თავისი მოთხრობები ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ ადამიანთა შესახებ.

საქართველო ის ქვეყანაა, „სადაც პირველად გაშალა მძლავრი ფრთები ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** გენიამ“. ლენინისა და სტალინის მეგობრობა საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მეგობრობის უღრმესი გამოხატულებაა. წმიდა ძმობის გრძნობით არის აღსავსე ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა, რომელმაც შეჰქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირი.

ხალხთა ამ მეგობრობას, ისევე როგორც ხალხთა დამოუკიდებლობას, როგორც ხალხთა ეროვნულ კულტურას, ემუქრება მძვინვარე, შავბნელი, ყაჩაღური ჰიტლერიზმი. ფაშისტებს სძულთ მოსკოვი, საიდანაც მთელ ჩვენს ქვეყანას სხივებივით ეფინება ლენინის ანდერძი, სტალინის ბრძნული სიტყვები. როცა ცოფმორეული გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი მოსკოვს ეკვეთნენ. მის დასაცავად მკერდით აღიმართნენ საბჭოთა ხალხის ყველა შვილები, მის ეროვნებათა ყველა წარმომადგენელნი. ქართველები პირველ რიგებში იყვნენ. ისინი მოსკოვს იცავდნენ, როგორც საბჭოთა დიდქალაქს და როგორც თავიანთ მშობლიურ ქალაქს. მათი წრიდან გამოვიდა მრავალი გმირი, რომელნიც დასახელებული არიან ქართველ მებრძოლთა წერილში და რომელთაც იცნობს მთელი ჩვენი ქვეყანა.

მტერი გააფთრებით მოიწევდა მშვენიერი საქართველოსაკენ. ბოროტებითა და სიხარბით აგზნებულ მის თვალებს უკვე ელანდებოდა მშვენიერი ქვეყნის ძზიანი ველები. მას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ უკვე ქალავდა საქართველოს ვენახებს... მაგრამ უღელტეხილებისაკენ მომავალს, მას მკერდით დაუხვდნენ წითელი არმიის ძამაცი მებრძოლნი. ისინი ეკვეთნენ ფაშისტ მხეცს, როგორც რუსთაველის გმირები, როგორც ლერმონტოვის მწყრი ვეფხვს. რუსები, უკრაინელები, სომხები, უზბეკები და სხვა საბჭოთა ადამიანები იბრძოდნენ საქართველოსთვის, როგორც მშობლიური ქვეყნისათვის. იქ, კლდეკარებში, სადაც გადმოჰქუხს მჩქეფარე მდინარეები, მათ გაელტეს ჰიტლერის რჩეული დივიზიები და კავკასიის მთებიდან და ველებიდან გარეკეს თავხედები.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები „სამშობლოს უანგარო სიყვარულით მტერზე ამხედრდნენ და „გამარჯვების“ შეძახილით ჩადგნენ მამულისათვის თავდადებულთა რიგებში“.

მოსკოვთან და სტალინგრადთან წარმოებულ ბრძოლებში, ბრძოლებში კავკავთან, თერგზე და ყუბანში ერთხელ კიდევ შეერია ერთმანეთს რუსი და ქართველი ხალხების შვილთა სისხლი, ერთხელ კიდევ განმტკიცდა წმიდა ძმადნაფიცობა. მებრძოლნი და მეთაურნი ახალი ძალებით, დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან გადამწყვეტი ბრძოლებისათვის, რათა ამხანაგ სტალინის ბრძანებით გაანადგურონ ჰიტლერელთა ბანდა და გასწმინდონ მისგან წმიდა საბჭოთა მიწა-წყალი.

ფიცივით გაისმის ქართველ მებრძოლთა წერილის სიტყვები:

„ჩვენო საყვარელო დედებო, მამებო, ცოლებო და დებო! მომავალშიც ჩვენ დაუღალავად განვაგრძობთ ჩვენი მხედრული ოსტატობის გაუმჯობესებას, ზუსტად შევასრულებთ მეთაურთა ბრძანებებს, წმინდად დავიცავთ დისციპლინას, ორგანიზებულობას და წესრიგს. თქვენს წინაშე ვდებთ საზეიმო აოთქმას, რომ არც ერთ მტკაველ საბჭოთა მიწას არ დავუთმობთ მტერს და ზედმიწევნით მოვემზადებით გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან გადამწყვეტი ბრძოლებისათვის“.

ქართველ მებრძოლთა წერილი მიმართულია საქართველოს მშრომელებისადმი. იგი გულში ჩასწვდება ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს. ისინი სულითა და გულით დაუჭერენ მხარს ფრონტელთა მოწოდებას:

„არ დაზოგოთ ძალღონე დიდი ბელადის მოწოდების განსახორციელებლად! გააათკეცეთ თქვენი შემოქმედებითი ძალა, უფრო ნაყოფიერი გახადეთ შრომა, კიდევ მეტი დახმარება გაუწიეთ წითელ არმიას!

მემაღაროენო! მეტი ქვანახშირი და მარგანეცი სამხედრო ქარხნებს!

სამხედრო საჭურველის მკეთებელო მუშებო! მეტი იარაღი, საომარი მასალა და თვითმფრინავები საბჭოთა მებრძოლებს!

დაე, მაღაროებში, ქარხნებში, ყანებში, ზვრებში და პლანტაციებში შეუნელებლად სწარმოებდეს გაჩაღებული მუშაობა, რათა საქართველოს ხვავიანი კალთა კიდევ უფრო დოვლათიანი გახდეს და მეტი წვლილი შეიტანოს ჩვენი მტრის განადგურების საყოველთაო-სახალხო საქმეში, მეტი სიმდიდრე მოგროვდეს ჩვენი მამულის საკეთილდღეოდ, ჩვენი გამარჯვების მოსაპოვებლად.

საბჭოთა საქართველოს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ოსტატნო! მთელი თქვენი ძალღონე, ცოდნა და ნიჭი მიმართეთ ფრონტის დასახმარებლად, რათა დაჩაგროთ ჰიტლერელ ბარბაროსთა განადგურება“.

დიდია ქართველ მებრძოლთა სიყვარული თავისი მშობლიური საქართველოსადმი. ბედნიერია საქართველო, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს. ურყევია საბჭოთა ქვეყანა, რომელმაც **ლენინურ-სტალინური** მეგობრობა ჩაუნერგა თავის ხალხებს!

„პრავდის“ მოწინავე, 16/V.

ზესგაუმარჯვებელ საქართველოს სსრ
„გლავსპეცსზალის“ ქარხნის № 4 საამქროს ფექნიკურ ხელმძღვანელს ამხ. აგლაძეს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, რაფიელ ილიას-ძეს, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

ჩვენი ავიაციის თავდასხმა ბრიანსკის, კრემენჩუგისა და დნეპროპეტროვსკის რკინიგზის კვანძებზე

15 მაისს ღამით ჩვენი შორიმოქმედების ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძებს — ბრიანსკს, კრემენჩუგს, დნეპროპეტროვსკს.

ბრიანსკის რკინიგზის კვანძებზე ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულია მოწინააღმდეგის რკინიგზის შემადგენლობანი. 30-მდე ადგილას ხანძარი გაჩნდა, რასაც დიდი ძალის აფეთქებანი მოყვა.

კრემენჩუგისა და დნეპროპეტროვსკის რკინიგზის კვანძებზე დაბომბვის შედეგად მფრინავებმა მრავალი ხანძარი შენიშნეს. აწვოდა რკინიგზის ეშელონები და საწყობები. შემჩნეულია, რომ ხანძარს ბევრგან ძლიერი აფეთქება მოჰყვა.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი ერთს გარდა, თავიანთ ბაზაში დაბრუნდა.

გერმანელთა ავიაციამ სცადა შჩიგრის რაიონზე თავდასხმა

16 და 17 მაისს გერმანელთა ავიაციამ ორჯერ სცადა თავდასხმა შჩიგრის რაიონზე.

პირველად გერმანელთა 60 თვითმფრინავმა სცადა რაზდენიმე ჯგუფად გამოჭრილიყო სამიზნისაკენ. ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა და საზენიტო არტილერიამ გაჰფანტეს მოწინააღმდეგის თვითმფრინავთა მეტი ნაწილი. მტრის ცალკეულმა თვითმფრინავებმა, რომელნიც გაიოიტრნენ, ჩამოჰყარეს ბომბები, რაც სამიზნედან შორს ჩამოვარდა. საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 16 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი ჩამოგდებულია საზენიტო არტილერიის ცეცხლით. ჩვენ 2 თვითმფრინავი დაკარგეთ.

მეორეჯერ 17 მაისს შჩიგრის რაიონისაკენ გამოჭრა სცადა გერმანელთა 8 ბომბდამშენმა. სამიზნესთან არ მოვუშვით მოწინააღმდეგის არც ერთი თვითმფრინავი. გერმანელთა 8 თვითმფრინავთაგან ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს 7 თვითმფრინავი. ჩვენს ავიაციას ზარალი არ მოსვლია.

ამრიგად, სულ შჩიგრის რაიონზე ორი თავდასხმის დროს გერმანელთა ავიაციამ 27 თვითმფრინავი დაჰკარგა. ჩვენმა ავიაციამ 2 თვითმფრინავი დაჰკარგა.

ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებს

დიადი სამამულო ომის გმირულ დღეებში, ბრძოლად გასული ქართველი მეომრები, მოგმართავთ შენ, ქართველო ხალხო, მხურვალე მხედრული სალამით. ჩვენი გული გამსჭვალულია სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულით და ჩვენი მარჯვენა მისი მზრუნველობით არის გამხნევებული.

ქართველი ხალხის შვილები მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, იცავენ ჩვენს დიად სამშობლოს მთელი ფრონტის სივრცეზე ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე და ასრულებენ თავის მოვალეობას მამულის წინაშე.

ჩვენი მომართვა ჩრდილო-კავკასიაში იწერება. მაგრამ იგი სამამულო ომის თვალუწვდენელ ფრონტზე მომქმედი ყველა ქართველი მებრძოლის სულისკვეთების გამომხატველია.

ჩვენ ყოველთვის ვიგონებთ მშობლიურ საბჭოთა საქართველოს, ჩვენს ამაყად ამართულ მთებს და ხატოვან მინდვრებს, ჩვენი ხალხის ოფლით ნაამაგარ ყანებს, ვენახებს, ჩაის და ნარინჯის პლანტაციებს, ქართველთა ვაჟკაცური წარსულის მოწმე ციხე კოშკებს და მკერდში ვინახავთ ქართული საბჭოთა მიწის ალერსიან სითბოს.

ბრძოლის ველიდან ვიძლევით ფიცს საყვარელი მამულის წინაშე, დაუნდობლად ველიტოთ ჩვენი ხალხის დაუძინებელი მტრის პირსისხლიანი ურდოები და მარჯვენის სიმტკიცით დავადასტუროთ ჩვენი თავდადება მამულისადმი.

ეხლა მთელი ჩვენი ქვეყანა, ფრონტი და გმირული შრომით დაძაბული ზურგი ერთი უწმინდესი გრძნობით არიან გაჟღენთილი და შედუღებული. ისინი თანაბარი გზნებით იბრძვიან სისხლიანი ჰიტლერიზმის დასამხობად და ლენინ-სტალინის გენიით მოპოვებული თავისუფლების შესანარჩუნებლად.

ქართველმა ხალხმა ბოლშევიკების დიდი პარტიის ამაგით და დიდი რუსი ხალხის დახმარებით საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ძმურ ოჯახში შესძლო აეყვავებინა მისი ბარაქიანი მიწა, გამოეჩინა ბრწყინვალე შემოქმედებითი ენერგია. ამიტომაც ყოველი ნამდვილი ქართველი მძლავრი საბჭოთა მამულით ამაყობს და საბჭოთა კავშირის თავდადებული პატრიოტია.

ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **სტალინის** სიბრძნემ, სწორუპოვარმა სამხედრო ოსტატობამ და გამჭრიახობამ შეუდარებელი ფურცლები ჩასწერა სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. დიდი **სტალინის** საბრძოლო გეგმით და გენიალური სარდლობით მიმდინარეობს დღეს ჰიტლერელ დამპყრობელთა განადგურება.

სამშობლოს უანგარო სიყვარულით მტერზე ავმხედრდით ჩვენ, ქართველი ხალხის შვილები, და „გამარჯვების“ შეძახილით ჩავდექით მამულისათვის თავდადებულთა რიგებში.

ვერაგ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში საბჭოთა კავშირის ძმადნაფიცი ხალხები იცავენ თავის საყვარელ სამშობლოს. ყოველი მათგანის სურვილია რაც შეიძლება მეტი გერმანელი მოსპოს და დაჩაგროს მტრის სრული განადგურება.

ეს წმინდა გრძნობა ასულდგმულებს ყოველ ჩვენგანს მოსისხლე მტერთან ბრძოლაში. ასეთი გრძნობით შეიარაღებული ქართველი ხალხის გულადი შვილი, მებრძოლი ჩუბინიძე შეეჭრა მტრავალთა ბანაკში და მხოლოდ ერთი იერიშის დროს ხიშტით ოცი გერმანელი გაანადგურა. მედგარი დაკვრით მან ასახელა თავისი მარჯვენა.

ამგვარივე მისწრაფებით, საბჭოთა კავშირის გმირი, სევასტოპოლის მებრძოლი, პოლიტხელი გახოკიძე შევარდა მტრის განლაგებაში და ფაშისტების სასაფლაოდ აქცია მათი რამდენიმე ბლინდაჟი. მან ერთი დღის განმავლობაში სამოცდაათი გერმანელი მოსპო.

მტრისადმი სიძულვილის კეთილშობილური გრძნობით გამსჭვალულმა სნაიპერმა ქისტაურმა ქალაქ ორჯონიკიძის მიდამოებში 90 ჰიტლერელი მოჰკლა.

საერთო მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში უფრო განმტკიცდა ხალხთა სტალინური მეგობრობა და ურყევი ძმობა. ეხლა ჩვენი მეგობრობა განმტკიცებულია მშობლიურ მიწაზე დაღვრილი თავგანწირული მეომრების სისხლით და გამოწრთობილია ომის ქარცეცხლში.

ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად —

უმღერია დიდ რუსთაველს და ეს კეთილშობილური რაინდული გრძნობა მეგობრობისა, თავისუფალ ხალხთა ძმობისა, საუკუნეებით უტარებია ქართველ ხალხს. ქართველ ხალხს ისტორიის გრძელ მანძილზე უძებნია გულითადი მეგობარი, ჭირისა და ლხინის მოზიარე ნამდვილი მოძმე, რომელიც განსაცდელის დროს უავთანდილებდა მას და მეგობრულ ხელს გაუწვდიდა. ოდითვე ჩვენი წინაპრების თვალი დიდი რუსეთისკენ მიპყრობილა და მეთექვსმეტე საუკუნიდან ქართველთა შეგნებაში რუსთა ქვეყანა სასურველ მოძმედ გამოსახულა. ჩვენი ხალხის სახელმწიფო მოღვაწენი და სახელოვანი მწერლები რუსეთისადმი შეურყეველი ნდობით და სიყვარულით იყვნენ გამსჭვალული. მათ მთელი თავისი ძალღონე შეალიეს დიდ რუსეთთან კავშირისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეს. მათი მისწრაფება ქართველ ხალხში მომწიფებულ სულისკვეთებას გამოხატავდა.

რუსეთი ძველთაგანვე ბევრი გამოჩენილი ქართველის მეორე სამშობლო გამხდარა და ქართველებსაც არაერთხელ დაუმტკიცებიათ ბრძოლის ველზე თავისი მეორე სამშობლოსადმი მამულიშვილური ერთგულება და თავდადება.

ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს რუსეთისათვის თავდადებულ მებრძოლთა შორის იყვნენ ქართველი მეომრებიც. პეტრე პირველის ბრძანებით გენერალი ალექსანდრე ბაგრატიონი რუსეთის არტილერიის უფროსად იყო დანიშნული და პეტრეს ხელმძღვანელობით მონაწილეობდა მრავალ ბრძოლაში.

შვიდწლიან ომში ქართველი მეომრები, რუსთა ლაშქარში შესულნი, ერთგულად იბრძოდნენ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ და აღტაცებული იყვნენ რუსი ჯარის მიერ ბერლინის აღებით. ამ ომის მონაწილე დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი გახარებული სწერდა: „ბრუსის კორროლს შევურყიეთ ტახტის სვეტიო“.

პირველი სამამულო ომის ერთ-ერთი შესანიშნავი სარდალი, სახელგანთქმული სუვოროვის მოწაფე, მგზნებარე პატრიოტი პეტრე ბაგრატიონი იყო პირდაპირი შთაგონებელი ქართველი სარდლებისა. სამოცამდე ქართველი მხედართმთავარი მხარს უჭერდნენ და პეტრე ბაგრატიონს. გენერალ-ლეიტენანტი ივანე ფანჩულიძე, გენერალ-მაიორი სიმონ ფანჩულიძე, არტილერიის გენერალი ლევან იაშვილი, გენერალ-ლეიტენანტი რომან ბაგრატიონი, გენერალი ჯავახიშვილი, ცნობილი ქართველი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ამირაჯიბი, ბარათაშვილი, ქართველიშვილი და სხვა მრავალი ქართველი მხედარი მონაწილეობდა რუსი ხალხის პირველ სამამულო ომში.

რუსეთის პირველ სამამულო ომში ქართველ ოფიცრებთან ერთად იბრძოდნენ ქართველი ჯარისკაცებიც, უბრალო მშრომელი ხალხის შვილები: ა. ბიბილური, გ. კვანჭახაძე, გ. პაპაშვილი, ი. თიყინაშვილი, სიმონიკა რაჭველი, ა. გოგიშვილი, რ. ღაღანიძე, ი. ლალიხანაშვილი, ა. ბაზლიძე, პ. იოსაშვილი, გრ. მაქაცარიძე, ე. ფეტვიაშვილი, დ. შენგელია, კ. ჩიკორიძე, ვ. ხმალაძე და მრავალი სხვა ქართველი სალდათი. მათ გამოიჩინეს მამაცობა ნაპოლეონის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში და ამით თავიანთი ვაჟკაცური სახელები შთამომავლობას შეუნახეს.

აგრე საუკუნეებით მწიფდებოდა რუს და ქართველ ხალხთა ისტორიული მეგობრობა. იგი შემზადებულია ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ და განმტკიცებულია მათივე სისხლით საერთო მტერთან მრავალრიცხოვან ბრძოლაში. იგი მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა განთავისუფლებული რუსი და ქართველი ხალხების ურყევი ძმური კავშირისა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობა სამუდამოდ დამკვიდრდა საბჭოთა მიწა-წყალზე. სტალინურმა მეგობრობამ უბრწყინვალესი დადასტურება ჰპოვა დიად სამამულო ომში. საბჭოთა კავშირის ხალხები — უკრაინელები, ბელორუსები, უზბეკები, ტაჯიკები, ყაზახები, აზერბაიჯანელები, სომხები, ქართველები დიდი რუსი ხალხის მეთაურობით ერთობლივი სულით აღიმართნენ თავხედი მტრის წინაღმდეგ.

ხალხთა მეგობრობის ჭეშმარიტი გრძნობა მკაფიო გამოხატულებას პოულობს ცალკეულ მეომართა ყოველდღიურ საბრძოლო მოქმედებაში.

ჩვენი ერთი ნაწილი ახალ მიჯნაზე უნდა გამოსულიყო. საჭირო იყო მოიერიშე მტრის შეჩერება რამდენიმე საათით. ამ საბრძოლო ამოცანის შესრულება იკისრა ორმა მეტყვიამფრქვევმ: მიშაკოვმა და ზალამბერიძემ. ისინი გამაგრდნენ მაღალ გორაკზე და რამდენიმე საათის განმავლობაში მედგარი ცეცხლით შეაჩერეს მრავალრიცხოვანი მტერი. ორი გულადი მებრძოლი უშიშრად გადაეღობა მტერს და საშუალება მისცა ჩვენს ნაწილს არჩეულ მიჯნაზე გამაგრებულიყო. ორი მებრძოლი—რუსი და ქართველი—გმირულად დაეცა ამ უთანასწორო ბრძოლაში უკრაინის მიწაზე, მაგრამ მათ მტრის ვერაგი გეგმა ჩაშალეს და მრავალი ფაშისტი დაასამარეს.

ასეთია ხალხთა მეგობრობის ძალა. იგი ფოლადივით იწრთობა ბრძოლის ქარცეცხლში და მისი ჩაქრობა შეუძლებელია. მტრის ყოველგვარი მუხანათური ცდა დაიმსხვრევა ხალხთა მეგობრობის ღუღაბით შემტკიცებულ საბჭოთა ქვეყნის სიმძლავრის წინაშე.

ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ქართველ მემატიანეს ოდესღაც ჩაუწერია: „არა არს წესი ჩვენ ქართველთა რათა ვიხილოთ მტერი ჩვენ კერძ მომავალი, შეუბმელად ზურგი შევაქციოთ, დალათუ იყოს სიკვდილიო“.

ასე თავდადებით იბრძვიან ქართველი მეომრები ეხლანდელ სამამულო ომშიც. რა შეუფრეკელნი და უშიშარნი აღმოჩნდნენ კაპიტანი ბუხაიძე, წითელარმიელი აბჟანდაძე, პოლიტხელი შუბითიძე, ტანკისტი პირტახია, ლეიტენანტი გოთვაძე, საბჭოთა კავშირის გმირი პოლიტხელი ქანკავა, კომისარი გიორგაძე და სხვა მრავალი თავგანწირული შვილი ქართველი ხალხისა! მათ ანაცვლეს თავიანთი სიცოცხლე მამულის თავისუფლებას და გაამართლეს პოეტის დიადი სიტყვები:

„არ მივცემთ სხვასა სამშობლოს
ჩვენის ცოცხალი თავითა“.

ჩვენ გვაგონდება წარსულიდან ხერხეულიძეთა ოჯახში წარმომდგარი ქართველი დედა, რომელმაც ცხრა შვილი გაიყვანა ბრძოლის ველზე, მამულის დროშა ჩააბარა და დაავალა არ დაეხარათ იგი. როდესაც დაიჭრა უფროსი მედროშე, დედამ დროშა მომდევნო შვილს გადასცა და შთაგონა მაღლა სჭეროდა ომებში მონაოლული მამულის ალამი. ცხრა ვაჟკაცის მარჯვენა გადაინაცვლა დროშამ და დაუხრელად დაუბრუნდა დედა-საქართველოს.

ჩვენ მტკიცედ გვახსოვს ქართველი დედის ეს შორეული ანდერძი.

ქართველისათვის წინაპართ უანდერძებიათ:

„ან ბრძოლის ველზე სული დალიოს, ან მოიგეროს მოსული მტერი“,

— რადგან, როგორც ჩვენი ხალხის საყვარელი პოეტი აკაკი წერეთელი ამბობდა:

„მონას რად უნდა კრული
სიცოცხლე,
ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი,
სჯობს მონრბაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

ქართველო ხალხო! შენ კარგად იცი ფერმანელ დამპყრობელთა ვერაგი ზრახვანი კავკასიის ერთა მიმართ. ჯერ კიდევ აკაკი წერეთელი გვაფრთხილებდა: „ნემცები... იქ ფიქრობენ მოიმკონ, სადაც მათ არ უთესიათო“.

ქართველმა ხალხმა უშუალოდ განიცადა გერმანელ დამპყრობთა მხეცობა. ჩვენ კარგად გვახსოვს (გორ

მოითარეშეს გერმანელებმა საქართველო 1918 წელს. მათი სისხლიანი საქმიანობა ქართველ ხალხს არასოდეს დაავიწყდება.

ეხლა ჩვენ ყოველ ფეხის გადადგმაზე საკუთარი თვალით ვხედავთ გერმანელი ურდოების მიერ ჩადენილი მხეცობის სისხლიან კვალს—ტყვეთა დაცხრილულ უმანკო ბავშვებს, თვალდათხრილ დედებს, სახრჩობელაზე დაკიდებულ მოხუცებს, მათ მიერ მთელი ჩვენი ხალხის საყვარელი და ნათელი სახელების—პუშკინის, ტოლსტოის, ჩაიკოვსკის და შევჩენკოს შეურაცხყოფის, ისტორიული ძეგლების მოსპობისა და განადგურების ბარბაროსულ მაგალითებს.

ჩვენმა მებრძოლებმა კარგად იციან თუ როგორ დაამცირეს და აწამეს დაჭრილი ქართველი ტყვეები გერმანელმა ჯალათებმა. მარტო გმირ მებრძოლ სულუხიას შანთებით ტანჯვა-წამება საკმარისია გერმანელთა მხეცობის დასახასიათებლად. შურისძიების წმინდა გრძნობა ჩაუქრობელ კოცონად ანთია ყოველი ჩვენგანის გულში. შურისძიების გრძნობამ აამხედრა და გოლიათური ძალა შთაბერა ჩვენს მეომრებს.

ლურსმანაშვილის ოჯახიდან ხუთი ვაჟკაცი გავიდა ბრძოლის ველზე და ხუთივე გმირულად დაიოტა. მაშინ შინ დარჩენილმა მეექვსე ძმამ იარაღი აისხა და შეჰფიცა თავისი მშობლების სუნთქვით გაღვივებულ კერას, ძმების სისხლი აეღო და მტერზე შური ეძია. მეომარმა თავისი წმინდა აღთქმა შეასრულა და ორმოცდაათი გერმანელი განგმირა კავკასიონის მისადგომებთან.

შურისძიების წმინდა გრძნობა გვაკაკუნებს ჩვენ მამულისა და თავისუფლების მოსისხლე მტერთან ბრძოლაში. ჰიტლერის სისხლიანი ურდოები მოემართებოდნენ კავკასიისაკენ, რათა დაემონებინათ ჩვენი ხალხი, ჩაექროთ საუკუნეთა განმავლობაში შენახული წინაპართა მიერ გაჩაღებული კერა, შეელახათ ჩვენი დედების, ცოლების და დების ღირსება, დაემხოთ საბჭოთა საქართველო და ტევტონური კლანჭებით დაეხრჩოთ ჩვენი თავისუფლება, ქართველობა ამოეშალათ ქართულ მიწიდან.

კაციჭამია ჰიტლერს პრუსიული ჩექმით უნდოდა გაეთელა ჩვენი წმინდა მიწა-წყალი, სადაც მღეროდა უკვდავი რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, სადაც მთიდან ყიჟინებდა ვაჟა-ფშაველა, სადაც მამულისადმი სიყვარულს გვინერგავდა ილია ჭავჭავაძე, სადაც პირველად გაშალა ძლავრი ფრთები ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** გენიამ.

მაგრამ ვერაგმა მტერმა ვერ აღისრულა წადილი. კავკასიონის მისადგომები გადაიქცა მრავალ ათას ჰიტლერელ ავაზაკთა სასაფლაოდ.

სწორედ იმ დაძაბულ დღეებში, როდესაც საბჭოთა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები მოიცვა მრისხანე საშიშროებამ, კავკასიაში ჩამოვიდა დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფე — ამხანაგი ლავრენტი **ბერია**. თანახმად საყვარელი ბელადის დავალებისა, ამხანაგმა ბერიამ მტკიცე ხელით მოაწყო ამიერ-კავკასიის მისადგომების დაცვა, შეამჭიდროვა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ხალხთა ძალები მტრის შემოტევის უკუგდებისა და მისი განადგურებისათვის. ამხანაგ ბერიას მიერ დარაზმულმა და განმტკიცებულმა ჩვენი ფრონტის არმიებმა შეაჩერეს მტრის წინსვლა და შემდგომ დაამსხვრიეს ჰიტლერელთა ურდოები კავკასიონის ბჭესთან.

ბრძოლის ცეცხლში ქართველ მეომრებს თვალწინ გვედგა ამაყად ამართული გორისციხე, მოწმე ქართველთა სამხედრო ძლიერების და ვაჟკაცობისა.

„მოგზაურო, ვერა ხედავ
გორისციხეს მაღალ სერზე,
ჭირნახულს და გამარჯვებულს
სულ ყოველთვის ქართლის
მტერზე...
მიუვალს და მიუწვდომელს,
ტინის კლდე აქვს საფეხურად,
ძველის მგონი, დღესაც კიდევ
გადმოგვყურებს ამაყურად.
მოგზაურო, ხომ უყურებ
იმ ძველ ციხეს რომ არ ქრება!
თითქო დღესაც სამშობლოს მტერს
მომავალით ემუქრება“.

გვაგონდება პოეტის ეს სიტყვები, მაღლდება ჩვენი მხედრული ღირსება, ათვეცდება ჩვენი გამბედაობა.

დიდმა სტალინმა მოგვიწოდა ვიყოთ ღირსეული მემკვიდრენი სახელოვანი წინაპრებისა და ვაჟკაცურად დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი.

დიდი სტალინის დროშის წინაშე შეფიცული ქართველი მეომრები თავიანთ ფიცს ბრძოლის ველზე წმინდად იცავენ.

ბევრმა ქართველმა მებრძოლმა სავსებით აითვისა საბრძოლო იარაღი. ბევრი მეთაური დაეუფლა ჯარის წინამძღოლობის ოსტატობას ბრძოლის ველზე.

ჩვენ ვამაყობთ საბჭოთა კავშირის გმირების კაპიტან გეგეშიძის, ლეიტენანტ პირმისაშვილის, პოლიტხელ კანკავას, ზემდეგ ადამიას, წითელარმიელ გოგიშვილის, ლეიტენანტ ხმალაძის, პოლიტხელ გახოკიძის, მაიორ კეთილაძის, კაპიტან ლურსმანაშვილის, პოდპოლკოვნიკ დიასამიძის და სხვა მრავალი ქართველი მეომრის ვაჟკაცობით და მხედრული უნარით.

სამხედრო ოსტატობის შედეგად საბჭოთა კავშირის გმირის ლეიტენანტ პირმისაშვილის ბატარიამ მტრის ბევრი საცეცხლე წერტი დაანგრია და მრავალი ასეული ჰიტლერელი გაანადგურა.

დახელოვნებულმა სნაიპერმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ნოე ადამიამ ასსამოცდაათი გერმანელი მოსპო. სევასტოპოლის სახელოვან დამცველთა შორის მან ჩასწერა გმირობით მოპოვებული უკვდავება.

სტალინური შევარდნები: საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-მაიორი ნანეიშვილი, პლოეშტის რისხვად მოვლენილი წურწუმია, ფრენის მაღალი ოსტატები—ჩხიკვიშვილი, ჭანკოტაძე, ჯარმელაშვილი, აბზიანიძე, კურდღელაშვილი, ჭაბუკიანი, ჩიტაიშვილი და მრავალი სხვა ქართველი მფრინავი მედგრად ანადგურებდნენ და ანადგურებენ მტრის საომარ მანქანას.

საბჭოთა ქვეყნის სახელოვან შვილთა შორის არი

ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებს

(დასასრული)

რო მაღლა ავსწევთ საბჭოთა პატრიოტის სიპატიო სახელს, ჩვენი დიდი ქვეყნის სხვა ხალხების შვილებთან ერთად თავგანწირვით ვეკვეთებით გაბოროტებულ მტერს და სამშობლოსათვის სიცოცხლესაც არ დავიშურებთ.

ფაშისტური ურდოების განადგურება და საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლება—ჩვენი წოლი არმიის ღმინდა მოვალეობაა მთელი საბჭოთა ქვეყნის წინაშე. ამ დიადი მოვალეობის შესასრულებლად მივდივართ წინ, უტეხი სულით, ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების ურყევი რწმენით.

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

გაუმარჯოს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

დიდება მშობლიურ სტალინს!

წერილს ხელს აწერენ ქართველ მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელით სადელეგატო კრებების მონაწილენი:

წოთელარმიელი, ტანკების გამანადგურებელი **ბ. ს. აბზიანიძე**, კაპიტანი **ვ. ა. აფხაიძე**, უფროსი სერჟანტი მედალოსანი **მ. გ. ავალიშვილი**, უფროსი ლეიტენანტი **ნ. დ. აგიაშვილი**, სანინსტრუქტორი მედალოსანი **ლ. ი. ადამია**, წოთელარმიელი მედალოსანი **კ. მ. ალადაშვილი**, წოთელარმიელი **ბ. ნ. ანთიძე**, პოდპოლკოვნიკი ორდენოსანი **ა. მ. ანტიოკვი**, სერჟანტი მედალოსანი **ს. კ. არაბიძე**, სერჟანტი მედალოსანი **შ. ი. არველაძე**, წოთელარმიელი **დ. ს. ბადურაშვილი**, წოთელარმიელი **პ. კ. ბაძრაძე**, გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი მფრინავი **ი. ნ. ბალიაშვილი**, წოთელარმიელი **პ. ს. ბარამიძე**, წოთელარმიელი **პ. რ. ბარელაძე**, გვარდიის პოდპოლკოვნიკი, სამამულო ომის 1-ი ხარისხის ორდენით დაჯილდოებული **ბ. ბ. ბასილია**, წოთელარმიელი მედალოსანი **მ. ი. ბახტურიძე**, წოთელარმიელი **ზ. დ. ბაცაშვილი**, სერჟანტი მედალოსანი **ბ. ზ. ბაშიჯაშვილი**, ზემდგომი მედალოსანი **ი. ბ. ბეზიერაშვილი**, უფროსი სერჟანტი **ა. ი. ბექაური**, წოთელარმიელი მედალოსანი **კ. შ. ბერეკაშვილი**, პოდპოლკოვნიკი ორდენოსანი **ს. ა. ბერუჩაშვილი**, მაიორი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ი. ნ. ბჟანია**, კაპიტანი მედალოსანი **ბ. ვ. ბოკუჩავა**, მედიცინის და გოგუცა ანდრიას-ასული **ბოლქვაძე**, წოთელარმიელი მედალოსანი **ი. ვ. ბურდიაშვილი**, უფროსი ლეიტენანტი ორგზის ორდენოსანი **ს. ა. ვასაძე**, სერჟანტი მედალოსანი **ა. ვ. ვაშალომიძე**, წოთელარმიელი **ბ. ბ. გაგიტაშვილი**, მაიორი ორდენოსანი **ხ. ა. გაფრინდაშვილი**, უფროსი სერჟანტი რადისტი **ო. ა. გველესიანი**, მაიორი ორდენოსანი **ი. ა. გვენცაძე**, მე-2 რანგის სამხედრო ექიმი ორდენოსანი **ნ. რ. გვეტაძე**, წოთელარმიელი **ა. ვ. გიგაური**, უფროსი ლეიტენანტი მედალოსანი **ა. ა. ლომტი**, მაიორი ორდენოსანი **ლ. დ. გოგატიშვილი**, კავშირგაბმულობის ფრიადოსანი ქალი უმცროსი სერჟანტი **ნ. ს. გოგინაშვილი**, წოთელარმიელი **ბ. ნ. გოგოლაძე**, სერჟანტი **ნ. ვ. გოგოლიძე**, წოთელარმიელი **ა. მ. გოგოშიძე**, მე-3 რანგის სამხედრო ექიმი **ვ. გოკიელი**, სერჟანტი მედალოსანი **ტ. ვ. გონაშვილი**, წოთელარმიელი. ტანკების გამანადგურებელი **მ. ლ. გორდელაძე**, სერჟანტი მეავტომატე **შ. ე. ღუდუშიძე**, კაპიტანი ორდენოსანი **შ. პ. გულოგლავა**, ნაღმმტყორცნელი **ბ. ს. გურეშიძე**, უფროსი ლეიტენანტი ორდენოსანი **შ. ვ. დავითულიანი**, სერჟანტი მედალოსანი სულიკო **დაბგლაშვილი**, ლეიტენანტი მედალოსანი **კ. ხ. დარსაძე**, მაიორი **ვ. ვ. დათიაშვილი**, წოთელარმიელი მედალოსანი **შ. ა. დვალიშვილი**, წოთელარმიელი **ნ. ნ. ჯავაშვილი**, პოდპოლკოვნიკი **ვ. ს. ჯანჯღავა**, მედიცინის და თინა გრიგოლის-ასული **ჯანელიძე**, ლეიტენანტი ორდენოსანი **ა. ი. ჯინჭარაძე**, ავიაციის კაპიტანი **ლ. ზ. ჯინჭველაძე**, კაპიტანი ორდენოსანი **ს. პ. ჯიოშვილი**, სნაიპერი **ს. მ. ჯოჯუა**, უფროსი ლეიტენანტი **ი. ი. ძიბისაშვილი**, კაპიტანი მედალოსანი **ა. ა. დოლაშერი**, ნაღმმტყორცნელი **შ. ი. დურგლიშვილი**, მეგობნე **ბ. ბ. ეკიტაშვილი**, უფროსი ტექნიკოსი ლეიტენანტი ორდენოსანი **მ. ტ. ჟღენტი**, წოთელარმიელი **ბ. ი. ზაქარეიშვილი**, წოთელარმიელი **შ. კ. ზაქრაძე**, მე-3 რანგის სამხედრო ექიმი ორდენოსანი **ნ. ბ. იოსელიანი**, ზემდგომი **დ. მ. ირემაძე**, სანინსპექტორი მედალოსანი **ა. დ. ქაჯაია**, წოთელარმიელი **ბ. ი. კალაძე**, პოდპოლკოვნიკი ორდენოსანი **ნ. ა. ყანჩაველი**, ზემდგომი ორდენოსანი **ნ. პ. კარელაშვილი**, კაპიტანი **ნ. კახიანი**, წოთელარმიელი მედალოსანი **ბ. ს. კაჩაური**, კაპიტანი მედალოსანი **შ. დ. კვერნაძე**, კაპიტანი ორდენოსანი **ბ. ი. კინწურაშვილი**, უმცროსი ლეიტენანტი ორდენოსანი **ნ. პ. კოგბაზიძე**, წოთელარმიელი **რ. ა. კორინთელი**, კაპიტანი **ბ. ა. კუპრაძე**, უფროსი სერჟანტი მედალოსანი **ა. ნ. კუპრაშვილი**, კაპიტანი, „ალექსანდრე ნევსკის" ორდენით დაჯილდოებული **ბ. ი. კურკაციშვილი**, მაიორი **ა. მ. კუცია**, სერჟანტი მედალოსანი **ა. ბ. ლაზარაშვილი**, პოდპოლკოვნიკი **ბ. ი. ლეგანიძე**, წოთელარმიელი მედალოსანი **ე. ბ. ლეკაული**, გენერალ-ლეიტენანტი, ოთხი ორდენით დაჯილდოებული **კ. ნ. ლესელიძე**, კაპიტანი **ვ. კ. ლომაია**, უმცროსი ლეიტენანტი **ა. ი. ლომიძე**, უმცროსი ლეიტენანტი **შ. ე. ლომინაშვილი**, წოთელარმიელი მედალოსანი **ი. მ. მაღლაკელიძე**, წოთელარმიელი **ვ. მ. მაისაშვილი**, წოთელარმიელი **ს. კ. მაისურაძე**, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ორდენოსანი **მ. ს. მენთეშაშვილი**, კაპიტანი **ა. პ. მაცაბერიძე**, უფროსი ლეიტენანტი ორდენოსანი **ი. ს. მაჩალაძე**, მაიორი ორდენოსანი **დ. ა. მელეშკო**, წოთელარმიელი მედალოსანი **დ. ზ. მეს როკოკვი**, პოლკოვნიკი ორგზის ორდენოსანი **ა. მ. მეტელნიკოვი**, უფროსი სერჟანტი მედალოსანი **ბ. კ. მიქაბერიძე** ლეიტენანტი **ვ. ა. მიქაძე**, უფროსი ლეიტენანტი **ბ. ე. მუსერიძე**, წოთელარმიელი მედალოსანი **ა. ფ. მუშკუდიანი**, უფროსი სერჟანტი მედალოსანი **ა. ბ. მჭედლიშვილი**, მედიცინის და თამარ პეტრეს-ასული **ნადარეიშვილი**, უფროსი ლეიტენანტი **ს. ი. ნადირაძე**, სნაიპერი **შ. ი. ნადირაძე**, კაპიტანი მფრინავი **ა. ა. ნალბანდიშვილი**, საბჭოთა კავშირის გმირი ავიაციის გენერალ-მაიორი **ვ. ვ. ნანეიშვილი**, სერჟანტი მედალოსანი **მ. ვ. ნასარიძე**, ლეიტენანტი **მ. ა. ნიკოლაიშვილი**, სერჟანტი მედალოსანი **ი. ბ. პალაჯიშვილი**, უფროსი სერჟანტი ორდენოსანი **ბ. ხ. პირჩხალავაშვილი**, წოთელარმიელი მედალოსანი **მ. მ. რობაქიძე**, წოთელარმიელი **მ. ი. როსტიაშვილი**, წოთელარმიელი **საკაკაძე**, უფროსი სერჟანტი მედალოსანი **კ. ს. სანაძე**, წოთელარმიელი **ნ. ალექსანი** **დ. ვ. სარალიძე**, უმცროსი ლეიტენანტი ორდენოსანი **შ. ნ. სახოკია**, წოთელარმიელი მედალოსანი **ა. ბ. სპანიძე**, წოთელარმიელი მედალოსანი **ბ. ი. სინჯიაშვილი**, ლეიტენანტი **რ. კ. სირბილაძე**, წოთელარმიელი **პ. პ. სულაბერიძე**, უფროსი ლეიტენანტი მედალოსანი **პ. ა. ტაბატაძე**, წოთელარმიელი **დ. ნ. ტაბიძე**, ნაღმმტყორცნელი **კ. ი. თაბაგაძე**, წოთელარმიელი **ი. ი. თანიაშვილი**, მაიორი ორდენოსანი **ვ. მ. თვალაბაშვილი**, წოთელარმიელი მედალოსანი **ა. ა. თევზაია**, სერჟანტი მედალოსანი **შ. ა. ტყვიჩავა**, ავიატექნიკოსი მედალოსანი **ა. ი. ურუშაძე**, ზემდგომი მედალოსანი **ა. ი. ხატიაშვილი**, სერჟანტი **ს. დ. ხელაია**, ლეიტენანტი **შ. ს. ხითარიშვილი**, სერჟანტი მედალოსანი **პ. ი. ცაავა**, წოთელარმიელი **ა. ი. ცაგარეიშვილი**, კაპიტანი ორგზის ორდენოსანი **მ. ა. ცალაენი**, უფროსი ლეიტენანტი ორდენოსანი **ა. მ. წულუკიძე**, უფროსი ლეიტენანტი ორდენოსანი **ა. კ. წურწუმია**, მეგობნე ორდენოსანი **პ. დ. წურწუმია**, უფროსი ლეიტენანტი **ი. ე. ჩაბანავა**, პოლკოვნიკი სამგზის ორდენოსანი **შ. ა. ჭანკოტაძე**, გვარდიის გენერალ-მაიორი ოთხგზის ორდენოსანი **პ. ბ. ჩანჩიბაძე**, სამხედრო ფირშალი **ა. ი. ჩაჩიბაია**, კაპიტანი **ი. მ. ჩაჩუა**, წოთელარმიელი მედალოსანი **ლ. კ. ჩიგოჩაშვილი**, სერჟანტი მედალოსანი **რ. ო. ჩიკურაშვილი**, წოთელარმიელი **ა. ნ. ჭიაურელი**, მაიორი **მ. ს. ჩიქოვანი**, მფრინავი გამანადგურებელი **დ. ბ. ჩლაჩიძე**, წოთელარმიელი ორდენოსანი **ბ. ტ. ჩუბინიძე**, წოთელარმიელი მედალოსანი **ბ. ვ. ჩუნეშელიძე**, ლეიტენანტი მედალოსანი **ს. პ. ჩხეიძე**, კაპიტანი მედალოსანი **პ. მ. ჩხიკვაძე**, მე-2 რანგის სამხედრო ინჟინერი ორდენოსანი **ნ. ს. ჩხიკვაძე**, წოთელარმიელი **ნ. ბ. ჩხუბიანინოვი**, სერჟანტი სნაიპერი **ი. კ. შარაბიძე**, მედიცინის და თამარ ივანეს-ასული **შარაშიძე**, უმცროსი ლეიტენანტი **ი. ვ. შენგელია**, მედიცინის და **ზ. შონია**, სამხედრო ფერშალი იულია ლუკას-ასული **შუბლაძე**, კაპიტანი **ვ. ბ. ესაიაშვილი**, და სხვები—სულ 2.031 კაცი.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისელებმა დაიკავეს კუნძული ზემბრა

ლონდონი, 17 მაისი (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ ინგლისის საზღვაო ძალებმა დაიკავეს ბონის კონცხის დასავლეთით მდებარე კუნძული ზემბრა.

ინგლისის ბომბდამშენების თავდასხმა ბერლინზე, რურისა და რაინის ოლქებზე

ლონდონი, 17 მაისი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 16 მაისს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავები თავს დაესხნენ სხვადასხვა ობიექტებს რურის და რაინის ოლქებში და ბერლინში.

ბერძენი ხალხი ქედს არ იხრის ოკუპანტების წინაშე

ანტიგერმანული დემონსტრაციები ათენში, ლარისასა და პატრასში

სტამბოლი, 17 მაისი (საკდესი). მთელ საბერძნეთში ფართოვდება სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა. დანიშნულმა საბერძნეთის ახალმა მარიონეტულმა „მთავრობამ" რაღაცის მეთაურობით სცადა ყალბი დაპირებით მიეღწია მოსახლეობასა და ოკუპანტებს შორის თანამშრომლობის დამყარებისათვის, მაგრამ ამ ცდამ სრული მარცხი განიცადა.

რაღაცამ მოწოდებით მიმართა პარტიზანებს, შესწყვეტეთ ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგო, რისთვისაც ამნისტია აღუთქვა ყველას, ვინც იარაღს დაჭიროდა. რაღაცი იმასაც კი შეპირდა მოსახლეობას, რომ სასურსათო მდგომარეობას გაუუმჯობესებდა, თუ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლას შესწყვეტდა. რაღაცის მთელი ამ წაღენერების ერთადერთი შედეგია საბერძნეთში პარტიზანული მოძრაობის გაძლიერება. მაგალითად, ამას წინათ ათენში, ლარისასა და პატრასში ხალხმრავალი ანტიგერმანული დემონსტრაციები გაიმართა. ათენში გამართული დემონსტრაციის 300 მონაწილე დაპატიმრეს საოკუპაციო ხელისუფლებმა. ოკუპანტებმა საყრობილეში შეჰყარეს ავრეთვე 100-ზე მეტი სოფლის მეგზელი იმის გამო, რომ მთელ საბერძნეთში აღდგომის დღეებში ეკლესიებში წარმოსთქვამდნენ ქადაგებებს, სადაც „წყეულ-კრულვით იხსენიებდნენ „ქვეყნის ამაოხრებელ მტერს" და ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.

კუნძულ სტამპალიის ბერძენი მოსახლეობის აჯანყება იტალიელების წინააღმდეგ

სტამბოლი, 17 მაისი (საკდესი). თურქული გაზეთი „ენი საბახი" იუწყება, რომ იტალიელი ხელისუფალნი დოდეკანეზის კუნძულებიდან (ეგეოსის ზღვაში) მასობრივად ასახლებენ ბერძნებსა და თურქებს. გადასახლებულთა საკონცენტრაციო ბანაკებში ჰყავნიან, კუნძულთა მოსახლეობის სასურსათო მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა. იტალიელთა თარეშით აღშფოთებულმა კუნძულ სტამპალიის მოსახლეობამ აჯანყება მოაწყო იტალიელთა წინააღმდეგ. მოსახლეობამ გაანაიარაღა იტალიელთა ნაწილები და დაუპატიმრა იტალიელი ოფიცრები. ერთი მათგანი, რომელმაც განსაკუთრებით გაითქვა სახელი თავისი სისასტიკით, სიკვდილით დასაჯეს. ააფეთქეს ყველა ანგარი და საომარი მასალის საწყობი, რომლებიც კუნძულზე იყო. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება. ამის შემდეგ გერმანელთა ავიაციამ დაბომბა კუნძული. სტამპალიაზე გადასხვეს გერმანელთა დესანტი, რომელმაც ჩაანარო აჯანყება.

ფაშისტ ბაქანება პარტიზანული მოძრაობისა საფრანგეთში

სტოკჰოლმი, 17 მაისი (საკდესი). საფრანგეთში პარტიზანული მოძრაობის ფართო გაქანება დიდად აფიქრებს ლავალის ხელისუფალთა და გერმანელ ოკუპანტებს. გაზეთმა „გრენგუარმა", რომელიც გერმანელთა კონტროლით გამოდის, ამ დღეებში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღიარებს, რომ პარტიზანული მოძრაობა საფრანგეთის თითქმის ყველა დეპარტამენტში (ოლქში) ვრცელდება. ვაზეთი სწერს, რომ დიდი პარტიზანული რაზმები აგებულია არმიის ნიმუშის მიხედვით. ისინი დაყოფილი არიან ბატალიონებად, ასეულებად, ოცეულებად და ათეულებად. ყოველი ათეული შესდგება 7 კაცისაგან, რომელთაც მეთაური და ორი მისი თანაშემწე ხელმძღვანელობენ.

საფრანგეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, ფრანგმა პარტიზანებმა მწყობრადან გამოიყვანეს სულ ცოტა 180 ორთქლმავალი და 1.200-მდე ვაგონი სამხედრო ქონებიანად, სურსათიანად და გერმანელთა ჯარებიანად. გარდა ამისა, დაზიანებულ იქნა ასობით ცარიელი ვაგონი. ამფეთქებელთა სპეციალურმა ჯგუფებმა 200-მდე დივერსიული აქტი მოაწყეს რკინიგზებზე, რის შედეგადაც ლიანდაგიდან გადაგდებულ იქნა გერმანელთა რამდენიმე ათეული სამხედრო ეშელონი და აფეთქებულ იქნა 3 ხიდი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

17 მაისის დილის ცნობა

16 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 6 შენაერთის არტილერისტებმა რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე და მახლობელ ზურგზე, დაანგრიეს გერმანელთა 8 ძელმიწური საცეცხლე წერტი, ჩაახშეს 4 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი და მოსპეს 25 ავტომანქანა და საზიდარი ტვირთიანად.

* * *

დასავლეთის ფრონტზე გერმანელთა რაზმმა სცადა ბრძოლით დაეზვერა ჩვენი პოზიციები. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მარჯვე მანევრით შემოუარეს მოწინააღმდეგეს და 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. წამოიღებულია 3 ტყვიამფრქვევი და 75 შაშხანა და ავტომატი.

* * *

კალინინის ფრონტზე მზვერავთა რაზმი უფროს ლეიტენანტ ამმ. ბოტოვსკისა და უფროს ლეიტენანტ ამმ. მასლოვის მეთაურობით შეიჭრა გერმანელთა მიერ დაკავებულ სოფელში. ბოტოვსკის ჯგუფის მეავტომატეებმა ტანსაწინააღმდეგო გრანატებით აფეთქეს 3 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 2 მიწური შიგ მყოფ ჰიტლერელებიანად. ამასობაში მასლოვის ჯგუფმა სოფლიდან უკან დასახევი გზა მოუჭრა გერმანელებს. ხანმოკლე შეტაკებაში მტრის მთელი გარნიზონი მოსპობილ იქნა.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენს ნაწილებს ცეცხლითი ბრძოლა ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან. მოსპობილია გერმანელთა 11 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, 3 ქვეითი, 7 ავტომანქანა სამობრ მასალიანად და ასეულამდე ჰიტლერელი.

* * *

მოგილიოვის ოლქში მოქმედი რამდენიმე პარტიზანული რაზმი ერთდროულად დაესხა თავს გერმანელთა 8 გარნიზონს. პარტიზანებმა 200-ზე მეტი ჰიტლერელი გაჟლეტეს. საბჭოთა პატრიოტებმა ხელთ იგდეს 10 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი, 120 შაშხანა და ბევრი სამობრ მასალა. სხვა პარტიზანულმა რაზმმა ნაღმებზე ააფეთქა გერმანელთა სურსათის ეშელონი. დამტვრეულია 16 ვაგონი. მარცხის დროს დაიღუპა 12 ჰიტლერელი ეშელონის მცველთაგან.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანიის მე-20 მოტოდივიზიის 76-ე ქვეითი პოლკის ჯარისკაცმა ჰანს მ-მ განაცხადა: „ტუნისში გერმანიისა და იტალიის ჯარების დამარცხების ამბავმა მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა პოლკზე. ზამთარში კატასტროფა დაემართა პაულიუსის არმიას სტალინგრადთან, ახლა მოსპობილია არნიმის არმია. ერთი დამარცხებას მეორე მოსდევს. ომის ბედმა ზურგი შეაქცია გერმანიას, მას ძალ-ღონე უფრო სწრაფად ელევა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. გერმანიის სარდლობის საინფორმაციო ცნობები აღშფოთებას იწვევს ჯარისკაცებში. ამ ცნობებში ხომ მუდამ იუწყებიან, სამხედრო მოქმედება გეგმაზომიერად ვითარდებაო. როგორც უნდა დატრიალებულიყო ამბები, მუდამ იმას ჩაგვაბოდნენ, გერმანიის სარდლობას ყველაფერი გათვალისწინებული აქვსო. ახლა ჯარისკაცები ამის გამო ამბობენ: „კაკვასიიდან ჩვენ უკან დავიხიეთ გეგმის შესაბამისად. პაულიუსის არმია გეგმაზომიერად დაიღუპა. გეგმაზომიერად არის დატოვებული რეევი და ვიაზმა, ველიკიე ლუკი და დემიანსკი. ახლა გეგმაზომიერად დავანებეთ მტერს ტუნისი. უეჭველია, გერმანია ასევე „გეგმაზომიერად" წაგებს ომს". ბევრი ჯარისკაცი მეტად საეჭვოა. ყველას ესმის, რომ მომავალი კარგს არაფერს უქადის გერმანიის არმიას, განსაკუთრებით ახლა, როცა ტუნისში ინგლისელ-ამერიკელთა ჯარები განთავისუფლდნენ და დღე-დღეზე შეუძლათ ევროპის დაიწყონ სხვა ფრონტებზე".

***

ნორვეგიელი პატრიოტები თავდადებულ ბრძოლას ეწევიან გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ. ბერგენის რაიონში ნორვეგიელებმა გერმანიის ტოდტის სამხედრო-სამშენებლო ორგანიზაციის საწყობი დაზვნეს. ოსლოს მახლობლად პატრიოტებმა ააფეთქეს ხომალდი, რომელზეც 60-ზე მეტი ჰიტლერელი იმყოფებოდა. ტრონხეიმის რაიონში ნორვეგიელმა პარტიზანებმა ლინდდიდან გადაადგილ საზღვაო არტილერიის ქვემეხებით დატვირთული მატარებელი. აპრილში ნორვეგიელი პარტიზანები თავს დაესხნენ საკონცენტრაციო ბანაკს, გერმანელი მცველები ამოსწყვიტეს და ყველა დაპატიმრებული პატრიოტი გაათავისუფლეს.

17 მაისის საღამოს ცნობა

17 მაისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

16 მაისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაანგრიეს გერმანელთა სულ ცოტა 40 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 10 საარტილერიო და 2 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი, ააფეთქეს სომპარი მასალის საწყობი, ჩასძირეს სადარაჯო გემი, გაპფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა რამდენჯერმე მოიტანეს იერიში ჩვენს პოზიციებზე. გერმანელთა იერიშები მოგერიებულია მოწინააღმდეგისათვის დიდი ზარალის მიყენებით. 6 ნაწილის არტილერისტებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის 2 საარტილერიო და 2 სანაღმტყორცნო ბატარეა, მოსპეს ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, თვითმავალი ქვემეხი და რამდენიმე სატვიამფრქვევო წერტი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 8 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი მოსპობილია საზენიტო არტილერიის ცეცხლით.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენ ქვეგანაყოფები ცეცხლის ბრძოლას ეწეოდნენ. გაჟლეტილია 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დანგრეულია 2 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 5 ბლინდაჟი, ჩახშობილია მოწინააღმდეგის 2 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით გვარდიელმა ნაღმმტყორცნელებმა დაუზიანეს მტრის ტანკი და დასწვეს რკინიგზის რამდენიმე ვაგონი სამხედრო ტვირთიანად. ჩვენმა მზვერავთა ჯგუფმა შეაღწია მოწინააღმდეგის განლაგებაში. მოსპო 30 ჰიტლერელი, ხელთ იგდო ფაზის ტყვიამფრქვევი და უდანაკარგოდ დაბრუნდა თავის ნაწილში.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარით, რომელსაც 6 ტანკი ეხმარებოდა, სამჯერ მოიტანა იერიში ჩვენს ქვეგანაყოფებზე, რომელნიც ერთ დასახლებულ პუნქტს იცავდნენ. ამ პუნქტისათვის წარმოებულ გაფთრებულ ბრძოლაში მოკლულ-დაჭრილია 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და მოსპობილია მოწინააღმდეგის 3 ტანკი.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენი ნაწილები მტრის პოზიციებს უშენდნენ. დანგრეულია გერმანელთა 6 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 4 ბლინდაჟი და 2 სათვალთვალო პუნქტი.

* * *

დნეპროპეტროვსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გერმანელთა სარკინიგზო დაცვას. საბჭოთა პატრიოტებმა გაჟლეტეს მოწინააღმდეგის 60 ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 6 ავტომანქანა და დასწვეს 2 საწყობი. სტალინოს ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა მტრის გარნიზონს. გაიმართა ბრძოლა, რომლის დროსაც პარტიზანებმა რამდენიმე ათეული ჰიტლერელი მოჰკლეს. საბჭოთა პატრიოტებმა ხელთ იგდეს ავტომანქანა, 40 შაშხანა, 11 რევოლვერი და რადიოსადგური. სხვა დასახლებულ პუნქტში იმავე რაზმის პარტიზანებმა დასწვეს 10 ტონა ბენზინი და 2 ტონა საცხები მასალა.

* * *

ყუბანში წოთელი არმიის მხარეზე გადმოვიდა სლოვაკთა პირველი მოტოდივიზიის ჯარისკაცების ჯგუფი. გადმოსულმა ჯარისკაცმა იან ბოდომ განაცხადა: „გერმანელებმა გაძარცვეს სლოვაკია და საშიმშილოდ განწირეს ჩვენი ხალხი. ჰიტლერელებმა წამოიწყეს ეს საშინელი ომი და უნდათ ძალდატანებით გვაომონ რუსების წინააღმდეგ. სლოვაკებს არ შეიძლება საერთო რამ ჰქონდეთ გერმანელ მკვლელებთან. ჩვენ ჰიტლერელებთან ძველი მტრობა გვაქვს. აი ამიტომ ბრიყვები უნდა ვიყოთ, რომ ჰიტლერელებისათვის სისხლი ვღვაროთ, რუსებთან, ინგლისელებთან და ამერიკელებთან ერთად ჩვენ გვსურს შური ვიძიოთ გერმანელებზე ჩეხოსლოვაკიის დირსებისა და თავისუფლების შებილწვისათვის".

ამერიკის პროფკავშირული მოღვაწეები ჰგმობენ სიკორსკის მთავრობას

ნიუ-იორკი, 15 მაისი (საკდესი). გაზეთ „დეილი ორორკერს" მიუოდიან ატყობინებენ, რომ პოლონური წარმოშობის 15 პროფკავშირული მოღვაწე, რომელნიც ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ, გამოვიდა განცხადებით, საიდაც ისინი ჰგმობენ პოლონეთის მთავრობის პროჰიტლერულ ანტისაბჭოთა მანევრებს და მოუწოდებენ პოლონელ ხალხს სრული დახმარება აღმოუჩინოს რუზველტს ევროპაში დაუყოვნებლივ შეჭრის განხორციელების მიზნით.

ინგლისის ავიაციის მოქმედება ხმელთაშუა ზღვის ბასეინში

ლონდონი, 17 მაისი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ძალების შტაბი გადმოგვცემს, რომ 15 მაისს ღამით „ველინგტონის" ტიპის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს იტალიელთა „ლიდო დი რომას" ჰიდროთვითმფრინავების ბაზის წინააღმდეგ (დაახლოებით 32 კილომეტრზე რომთან, ოსტიის ახლოს). ჩამოგდებული ბომბები გასცდა მიწაზე მდგარ თვითმფრინავებს შორის.

იმავე ღამეს „ველინგტონის" ტიპის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ტრაპანის (სიცილია). ბევრგან დიდი აფეთქება მოხდა. ბომბებმა სხვადასხვა ობიექტები დააზიანეს.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 17 მაისი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 16 მაისს ჩრდილოეთ საფრანგეთში წარმოებული ოპერაციების დროს ინგლისის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის აეროდრომებზე კანსა და მორლეში. ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა დაბომბეს რკინიგზის ობიექტები დიეპის მახლობლად. სხვა ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს საფრანგეთის სანაპიროს რკინიგზის ობიექტებზე.

გერმანიის ფინანსიური მეურნეობის დეზორგანიზაცია

ლონდონი, 16 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის მარკის გაუფასურებასა და ინფლაციასთან დაკავშირებით, რაც სულ უფრო და უფრო მატულობს, გერმანიის ბევრი მცხოვრებნი ყოველნაირ ნივთს ყიდულობენ და ეძიებენ ამრიგად თუნდაც რაიმე ფასეულობაზე გადასცვალონ თავიანთი ფული. ყიდულობენ ყველაფერს, სპილენძის ფულით დაწყებული და საფოსტო მარკებითა და ხელოვნების ნაწარმოებთა კოლექციებით დამთავრებული. ამიტომ უკანასკნელ ხანს ხელოვნების ნაწარმოებთა გაყალბებამ გერმანიაში იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ გერმანიის პოლიციი იძულებული გახდა სპეციალური ორგანიზაცია შეექმნა მასთან საბრძოლველად.

უცხოეთის ქრონიკა

ტუნისში ფრანგი წარმოშობის ყველა პირთა მობილიზაცია გამოცხადდა.

* * *

მოკავშირეებმა ტუნისში ხელთ იგდეს მტრის 530 თვითმფრინავი. მათი უმრავლესობა კარგ მდგომარეობაშია.

* * *

მწვავე კრიზისის გამო, რამაც თავი იჩინა საფეიქრო მრეწველობაში, იტალიის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ დაეხურათ ბამბეულის მთელი რიგი საწარმოები. უკვე ამა წლის თებერვალში იტალიაში მუშაობენ თითქმის ტრების საერთო რაოდენობის მხოლოდ ორი მეხუთედი და იტალიაში არსებულ მთელ საქსოვი დაზგების მარტო ერთი მეშვიდედი.

* * *

ბიზერტის ნავსადგურში ფართო აღდგენითი სამუშაოები გაიშალა. მოკავშირეთა სამხედრო ხომალდები უკვე ნაწილობრივ იყენებენ ბიზერტას, როგორც ჩამხედრო-საზღვაო ბაზას.

* * *

ამერიკის საავიაციო კომპანია „კონსოლიდეიტედ ვალტი ეირკრაფტის" საწარმოები აგებენ სამგზავრო სატრანსპორტო თვითმფრინავებს, რომელთაგან თითოს 400 მგზავრის წაყვანა შეუძლია.

ხელისუფალთა განკარგულებით, საფრანგეთის ოთხ დეპარტამენტში კვლავ შემცირებულია მოსახლეობისთვის გასაცემი პურის ნორმა, რაც ისედაც უმნიშვნელო იყო.

* * *

ტუნისში ტყვედ წაყვანილი გერმანიის გენერალ-პოლკოვნიკი ფონ არნიმი ინგლისში ჩაიყვანეს თვითმფრინავით.

* * *

ვიშის მთავრობის ყოფილი სტატს-მდივანი ბენუა მეშინი და პეტენის სამოქალაქო კაბინეტის ყოფილი დირექტორი ჟილუენი საფრანგეთიდან გაფრინდნენ ნეიტრალურ ქვეყანაში. ორივეს დაპატიმრება მოელოდა, რადგან მათ ბრალად ედებოდათ „ლავალის წინააღმდეგ შეთქმულება".

* * *

მაისის დღეებში საბჭოთა კავშირის მეგობართა ინდოეთის საზოგადოებამ ბომბეიში საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილი გამოფენა მოაწყო.

გამოფენაზე წარმოდგენილია ბრ